სსკგ-ს თავმჯდომარემ მოსკოვის წმინდა მოწამეების მიქაელისა და თეოდორე ჩერნიგოველების მეტოქიონში წირვა აღავლინა



2021 წლის 3 ოქტომბერს, წმინდა მოწამეთა და აღმსარებელთა ჩერნიგოვის თავადის მიქაელისა და მისი ბოიარის თეოდორეს სასწაულთმოქმედების ხსენების დღეს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, წმინდა მოციქულთა სწორთა კირილესა და მეთოდეს სახელობის ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის რექტორმა, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა, მოსკოვში ამ წმინდანების სახელობის ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღავლინა. ტაძარი ჩერნიგოვის საპატრიარქოს მეტოქიონის კომპლექსის შემადგენლობაში შედის, რომლის შენობაშიც ზოგადსაეკლესიო ასპირანტურა და დოქტურანტურა არის განთავსებული.

საღმრთო ლიტურგიაზე მწყემსმთავარს თანამსახურებას უწევდნენ ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტურანტურის სწავლებითი მიმართულების პრორექტორი მღვდელმონაზონი პავლე (ჩერქასოვი), მეტოქიონის კლირიკოსები.

მრჩობლი კვერექსის შემდეგ მიტროპოლიტმა ილარიონმა სნების განმფენი ქარის დროს საკითხავი ლოცვა აღავლინა.

ღვთისმსახურების დასრულებისას მეუფემ მორწმუნეებს სიტყვით მიმართა:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

„რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსლვაჲ, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე. რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თჳსისა განრიდებაჲ, წარიწყმიდოს „იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს გინა სახარებისათჳს, მან აცხოვნოს იგი“ (მკ. 8:34-35). **„რამეთუ რომელსა-იგი სირცხჳლ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთაჲ, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხჳნოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისაჲთა ანგელოზთა თანა წმიდათა“** (მკ. 8:38).

ჩვენ ეს სიტყვები დღევანდელი სახარების საკითხავიდან მოვისმინეთ. ისინი ძალიან შეესაბამება იმ მოვლენას, რომელსაც ჩვენ დღეს აღვნიშნავთ – ჩვენი წმინდა ტაძრის ზეციური მფარველების, მოწამეთა მიქაელისა და თეოდორე ჩერნიგოველების ხსენების დღეს.

რას ნიშნავს „სულისა თჳსისა განრიდებაჲ“ და „წარიწყმიდოს სული თჳსი“? რას გულისხმობდა იესო ქრისტე, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა? სიტყვა „სული“ ამ შემთხვევაში ნიშნავს ადამიანურ სიცოცხლეს, ხოლო „განრიდებაჲ“ მისი – ნიშნავს, რომ ადამიანები ყოველთვის ზედმეტად ზრუნავენ იმაზე, რომ სიცოცხლე შეინარჩუნონ, გაახანგრძლივონ ის, საფრთხეებს გაექცნენ. მაგრამ ქრისტე აქ საუბრობს იმაზე, რომ თუ ადამიანი თავის სიცოცხლეს გასწირავს ან თუ სიცოცხლეს წაართმევენ მისი სახელის გამო, სახარების სახელის გამო, მაშინ ადამიანი გადაარჩენს თავის სიცოცხლეს (სულს), ანუ ის იხსნის საკუთარ სულს.

წმინდა კეთილმსახურმა მიქაელ ჩერნიგოველმა და მისმა ერთგულმა ბოიარმა თეოდორემ სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც სრულად აღასრულეს ის სიტყვები, რაც ჩვენ დღეს მოვისმინეთ.

ეს იყო ბურუსით მოცული დრო რუსეთისთვის – XIII საუკუნის პირველი ნახევარი. მთავართა

ურთიერთბრძოლის შედეგად დაშლილი რუსეთი იმდენად იყო დასუსტებული, რომ ოქროს ურდოს ვასალურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა. და ყველა მთავარი, რომელიც ხელისუფლებაში მოდიდოდა, სანამ მმართველობაში ჩაერთვებოდა, უნდა მიეღო ეტიკეტი, ანუ მანდატი მონღოლთა ხანისგან.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა მიქაელმა ჩერნიგოვის სამთავრო მემკვიდრეობით მიიღო. ის ღვთისმოსაობითა და სამართლიანობით გამოირჩეოდა, ხალხს უყვარდა და პატივს სცემდა. რაღაც პერიოდში ის ნოვგოროდის მთავარიც იყო. ერთი პერიოდი –კიევის დიდი მთავარი. მაგრამ ყოველ ჯერზე, მას შემდეგ, რაც მას იწვევდნენ სხვა რომელიმე სამთავროში მმართველად და ის მართვაში ებმებოდა, ის მერე მაინც თავის მშობლიურ და საყვარელ ჩერნიგოვში ბრუნდებოდა.

და აი, დადგა მომენტი, როდესაც მონღოლმა ხანმა ის დაიბარა, რათა მისთვის მთავრის ეტიკეტი გადაეცა. მიქაელს ესმოდა, რომ ურდოში მოგზაურობა მისი სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ სხვა გზა არ იყო. და ის წავიდა უცხო ქვეყანაში, სადაც უკვე იცოდნენ, რომ თავადი მიქაელი ურდოს წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეებს ეძებდა, რათა, რუსი ხალხი საძულველი მონღოლების უღლისგან გაეთავისუფლებინა. ამიტომ მას არა მხოლოდ ეტიკეტის გადასაცემად ელოდებოდნენ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ხანისადმი მისი ერთგულების გამოსაცდელად.

როდესაც მთავარი ჩავიდა, მას უთხრეს, რომ სანამ ხანს მიეახლებოდა, მას წარმართული რიტუალი უნდა გაევლო – გამწმენდი კოცონი. მასთან გავლისას თაყვანი უნდა ეცა ღმერთებისთვის, რომლებსაც მონღოლები აღიარებდნენ. მაგრამ კეთილმსახურმა თავადმა, მართლმადიდებლური რწმენით აღზრდილმა და ამ რწმენაში მტკიცემ, როგორც ადამანტმა, თქვა: „მე შემიძლია თაყვანი ვცე მხოლოდ ერთ ღმერთს. მე მზად ვარ ხანს ვემსახურო როგორც მიწიერ მმართველს, მაგრამ უცხო ღმერთებს მე თაყვანს არ ვცემ“. ამის გამო მან მრავალი წამება გადაიტანა და თავის მოკვეთით აღესრულა. თავადი მიქაელის გარდაცვალების შემდეგ, მთავრობა მის ნაცვლად მის ერთგულ ბოიარს თეოდორეს შესთავაზეს, მაგრამ მანაც უარი თქვა წარმართული რიტუალის გავლაზე, და ასევე თავი მოჰკვეთეს.

ამ ორი წმინდა მოწამის თაყვანისცემა დაიწყო მას შემდეგ, რაც რუსეთში ცნობილი გახდა მათი წამების ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ მათი სხეულები გარეული მხეცების დასაგლეჯად იქნა გადაგდებული, ღვთისმოსავმა ქრისტიანებმა მოახერხეს მათი ნეშტების შენარჩუნება და ჩერნიგოვში გადასვენება, სადაც ისინი საზეიმოდ დაკრძალეს.

იოანე მრისხანის დროს, მისი მითითებით წმიდა მოწამეთა ნაწილები დედაქალაქ მოსკოვში გადმოასვენეს. სწორედ აქ, ამ ადგილას შეხვდა მეფე იოანე მრისხანე წმიდა მოწამეთა ნაწილებს. ამ მოვლენის სამახსოვროდ აიგო ეს ტაძარი – წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის ტაძრის მოპირდაპირედ.

ჩვენ დღეს განვადიდებთ წმინდა მოწამეებს – მიხეილ ჩერნიგოველ თავადს და მის ბოიარ თეოდორეს – როგორც ადამიანებს, რომლებმაც საკუთარ სიცოცხლესა და სიკვდილში უფალ იესო ქრისტესადმი ერთგულება გამოავლინეს; მარადიული სიცოცხლე დროებით ცხოვრებას ამჯობინეს და საკუთარი

სიცოცხლე წარიწყმიდეს, რათა თავიანთი და სხვა მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაერჩენათ, რადგან ისინი აღესრულებოდნენ არა მხოლოდ ქრისტესთვის, არამედ თავიანთი მშობლიური მიწისთვისაც.

წმინდა კეთილმსახური მთავარი მიქაელი ურდოში პირველი მოწამე გახდა. მას სხვა მოწამეებიც მიჰყვნენ. წმინდა ეკლესია ყველა მათგანს განადიდებს, რადგან ისინი ზრუნავდნენ თავიანთ ხალხზე, საკუთარ სიცოცხლეს არ იშურებდნენ თავიანთი ხალხის გამო და უფალი იესო ქრისტეს აღთქმა აღასრულეს, საკუთარ სიცოცხლესა და სიკვდილში უფლის ერთგულება აჩვენეს.

განვადიდებთ რა ჩერნიგოველ წმინდა მოწამეებს, ვევედროთ მათ იმისთვის, რომ ჩვენც დაგვეხმარონ გვქონდეს მტკიცე და ძლიერი რწმენა. რათა ჩვენც გავიაზროთ, რომ მიწიერი ცხოვრების გარდა არის მარადიული სიცოცხლე, და რომ ზრუნვა ჭირდება არა მიწიერი სიცოცხლის შენარჩუნებას, არამედ სულის გადარჩენას მარადიულ ცხოვრებაში, ხოლო ამისკენ მიმავალი გზა უფალ იესო ქრისტეს აღსმარებლობაზე გადის.

უფალი მოგვიწოდებს ღიად ვაღიაროთ ის ხალხის წინაშე. ამისთვის ჩვენს დროში არანაირი დაბრკოლება არ არსებობს. იყო დრო, როდესაც ქრისტიანებს უწევდათ საკუთარი რწმენის დაფარვა და მდევნელებისგან დამალვა. მაგრამ ახლა ამის არანაირი საჭიროება არ არის. ამიტომ, თითოეული ჩვენგანი მოწოდებულია იყოს არა მხოლოდ მორწმუნე, არამედ მოციქულიც, ქრისტეს მქადაგებელი და ქრისტეს შესახებ ყველას მოუთხროს, ვისაც ამ სიტყვის მოსმენა შეუძლია. ნურც თავზე მოახვიოთ ვინმეს რაიმეს, და ნურც შემთხვევას გაუშვებთ ხელიდან, მოუთხროთ იმის შესახებ, ვინც ხორცშესხმული ღმერთია, ვინც სიცოცხლესა და მარადიულ ხსნას ანიჭებს თითოეულ ადამიანს.

ვილოცოთ წმიდა მოწამე მიქაელისა და თეოდორე ჩერნიგოველების მიმართ, რომ უფალმა მათი შუამდგომლობით თითოეულ ჩვენგანს მოგვანიჭოს ძლიერი რწმენა და ცათა სასუფევლში მიმყვანი სახარებისეული გზის გაყოლის სურვილი, ამინ.

ყველას გილოცავთ ჩვენი წმინდა ტაძრის სასაყდრო დღესასწაულს. უფალი ფარავდეს ყველა თქვენგანს“.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88174/